



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა** N 20

**ქ. გარდაბანი**

26/01/2022

20-06-4-202201261924



**საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N48 დადგენილების საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა:**

**მუხლი 1**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდეთ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მიმდინარე წლის იანვრის თვის ხარჯი დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს ამ განკარგულების დანართში გათვალისწინებული თანხის დარიცხვა საკრებულოს წევრების შესაბამის საბანკო ანგარიშებზე.

**მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე